საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 584

თბილისი „25“ 07 2016 წ.

2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად მაგისტრანტის მიერ წარსადგენი განცხადების ფორმისა და დოკუმენტაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის N311 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2016 წლის 19 ივლისის N884196 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად მაგისტრანტის მიერ წარსადგენი განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი 1-ის შესაბამისად;

2. დამტკიცდეს 2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად მაგისტრანტის მიერ წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა ამ ბრძანების დანართი 2-ის შესაბამისად;

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ალექსანდრე ჯეჯელავა

დანართი 1

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს, ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას

მოქალაქე .....
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

.....
(პირადი ნომერი)

განცხადება

.....წელს ჩავირიცხე.....
(მიუთითეთ ჩარიცხვის წელი)

.....
(უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა)

მივეკუთვნები საქართველოს მთავრობის 2016 წლის 7 ივლისის №311 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ კატეგორიას/კატეგორიებს: .....
.....
.....
(მიუთითეთ კატეგორია/კატეგორიები)

გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების მიზნით.

დანართი: ..... ფურცელი.

შენიშვნა: განმცხადებელი ვალდებულია წარმოადგინოს ყველა ის დოკუმენტი, რომელიც მოეთხოვება განცხადებაში მითითებული კატეგორიის/კატეგორიების მქონე პირს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია: .....
.....
.....
.....

განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი .....
ტელეფონი ..... მობილური .....

ვადასტურებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინფორმაციის ნამდვილობას და ვაცნობიერებ აღნიშნულთან დაკავშირებით ჩემ პასუხისმგებლობას. თანახმა ვარ, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამუშაოს ჩემი პერსონალური მონაცემები.

განმცხადებლის ხელმოწერა ..... განცხადების შევსების თარიღი.....

დანართი 2

2016-2017 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსებისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:
   1.1.განცხადება;
   1.2.საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
   1.3.ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
   1.4.დაბადების მოწმობის ასლი;
   1.5.საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული მოწმობის ასლი, რითაც დასტურდება, რომ სტუდენტი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულის შვილი ან ცნობა მშობლის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ;
   1.6.მშობლის/მშობლების გარდაცვალების მოწმობის ასლი/ასლები.

2. მაგისტრანტებმა, რომლებიც არიან მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:
   2.1. განცხადება;
   2.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
   2.3. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
   2.4. მკვეთრად/მნიშვნელოვნად/ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის დამადასტურებელი სამედიცინო ცნობის (ფორმა №IV-50/4) ნოტარიულად დამოწმებული ასლი.

3. მაგისტრანტებმა, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მათი ოჯახების სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 70 000-ზე. სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების მოსაპოვებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2016 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

3.1. განცხადება;
3.2. საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
3.3. ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
3.4. ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.